9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება შესაბამისად სამოქალაქო კოდექსი.

9.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და "შემსყიდველის" მოთხოვნებთან.

14.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ "შემსყიდველი" წუნდების მიზეზების მითითებით წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობებს "მიმწოდებელს".

14.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება "მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

"შემსყიდველი"

ს.ს.ი.პ ქალაქ თბილისის

.№122 საჯარო სკოლა

გუდაურის ქ.7/9

მის:: თბილისი, ქავთარაძის №23

საბანკო რეკვიზიტებია:

ს/ს ,,ლიბერთი ბანკი"

ბ LBRTGE22

ა.ა №GE80LB0121118583713000

ს.კ 204863255

სკოლის დირექტორის მ/შ

მაია ჯუმბურიძე

"მიმწოდებელი"

შპს ,,ორგსერვისი"

მის:ქუთაისი ჭავჭავაძის №51/2ა

საბანკო რეკ: ,,თიბისი ბანკი"

TBCBGE22 ბ/კ 220101888

ა.ა №GE32TB0300000030467356

ს.კ 212693851

ხელმძღვანელი

ხ.ნემსაძე

ხელშეკრულება №15

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

SPV-44922100- ცარაცი

SPV-30197620-საწერი ქაღალდი

11 სექტემბერი 2012 წელი

ერთის მხრივ, ს.ს.ი.პ ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლა (შემდგომში-"შემსყიდველი") მისი დირექტორის **მაია ჯუმბურიძის** სახით და მეორეს მხრივ, **შ.პ.ს. „ორგსერვისი"** შემდგომში-"მიმწოდებელი") მისი ხელმძღვანელის **ხ.ნემსაძის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია №122 საჯარო სკოლის მიერ **საკუთარი ფინანსური სახსრებიდან** საწერი ცარცისა **და** საწერი ქაღალდის **შესყიდვა** ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ერთ პირთან მოლაპარაკება.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია **სასკოლო ცარცი და საწერი ქაღალდის**

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში

3.2 შესყიდვის ობიექტის მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს **50 ლარს** დ.ღ.გ-ის ან სასაქონლო ზედნადების, ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს "შემსყიდველის" მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება 5 დღის ვადაში "შემსყიდველის" მოთხოვნის საფუძველზე.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ.თბილისი, ქავთარაძის №23

5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად "მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა "შემსყიდველისათვის" (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება "შემსყიდველისა" და "მიმწოდებლის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1 "მიმწოდებელთან" ანგარისსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში – (ლარებში).

7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება <u>უნაღდო</u> ანგარიშსწორებით.

7.3 ანგარიშსწორება "შემსყიდველის" მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3 მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 5 დღისა

7.4 ანაზღაურების ადგილია ქალაქი-თბილისი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

"შემსყიდველს" უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

"შემსყიდველი" ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება "მიმწოდებელთან" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

"მიმწოდებელს" უფლება აქვს:

- მოსთხოვოს "შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

"მიმწოდებელი" ვალდებულია:

- მიაწოდოს "შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღისა.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია, მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ, დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.